Ambassade de France en Géorgie

Centre Culturel Français Alexandre Dumas

# წინასწარი ჩაწერის პროცედურა უცხოელი კანდიდატებისათვის 2011-2012 წლებში საფრანგეთში არქიტექტურის განხრით სასწავლებლად

## კანდიდატურის შემოტანის ბოლო ვადაა 31/01/2011

უცხოეთში დიპლომირებულ, უცხოელ სტუდენტებს, ევროპის გაერთიანების, ევროპის ეკონომიკური სივრცის არა წევრი სახელმწიფოდან, და არც გაწევრიანების კანდიდატი ქვეყნიდან, შესაძლებლობა აქვთ გამოითხოვონ საფრანგეთის არქიტექტურის უმაღლეს ეროვნულ, 20 სკოლიდან (ENSA) ერთ-ერთში წინასწარი ჩაწერის მოთხოვნა.

<u>აღნიშნული წინასწარი ჩაწერის მოთხოვნა საჭიროა შემდეგი დიპლომების მოსამზადებლად :</u>

- არქიტექტურის დარგში სწავლის დიპლომი (DEEA), გაიცემა ფრ. Licence, ანუ ქართული ბაკალავრის დიპლომი ;
- სახელმწიფო დიპლომი არქიტექტურაში (DEA), მაგისტრის წოდება ;
- სახელმწიფო დიპლომის მქონე არქიტექტორის ნებართვა საკუთარი სახელით სამუშაოს საწარმოებლად (HMONP). საფრანგეთში არქიტექტორის ტიტულის ტარებისა და არქიტექტორთა ორდერის წევრობის ნებართვის მოპოვება ;
- დოქტორანტურის
- არქიტექტურის დარგში სპეციალიზაციის დიპლომი (DSA) ;
- არქიტექტურის სკოლების დიპლომი (DPEA).

<u>აღნიშნული პროცედურა ეხებათ საფრანგეთის, 20-დან ერთ-ერთ ENSA-ში სწავლის გაგძელების მსურველ უცხოელ სტუდენტებს, რომლებსაც აქვთ აღებული :</u>

- საშუალო განათლების უცხოური დიპლომი, ან
- უმაღლესი განათლების უხოური დიპლომი, ან
- არქიტექტორის უცხოური დიპლომი.

<u>ყურადღება, ვის არ ეხება აღნიშნული პროცედურა :</u>

- საზღვარგარეთ ფრანგული ლიცეუმის კურსდამთავრებულებს (ბაკალავრის ტიტულით) ან მომავალ კურსდამთავრებულებს ;
- ზოგიერთ უცხოელ კანდიდატს, რომელთაც პირდაპირ უნდა წარადგინონ ჩაწერის შესახებ მოთხოვნა მათ მიერ შერჩეულ უმაღლეს ეროვნულ სკოლაში, ეს ეხება :
  - უმაღლესი განათლების ფრანგული დიპლომის მქონეებს,
  - სკოლათაშორისი ან მთავრობათაშორისი ხელშეკრულებით მოსარგებლეებს,
  - საფრანგეთის მთავრობის, საერთაშორისო ორგანიზაციების ან უცხოური მთავრობების სტიპენდიანტებს, რომელთა სტიპენდიებიც იმართება ფრანგული ნებადართული ორგანიზაციების მიერ,
  - დევნილებისა და აპატრიდების ფრანგული ოფისის (OFPRA) მიერ სტატუსმინიჭებულ აპატრიდებსა და პოლიტიკურ დევნილებს,
  - საფრანგეთში მყოფ დიპლომატთა შვილებს,
  - სტუდენტური მობილურობის ფარგლებში, გაცვლითი წესით წასვლის მსურველებს.

Ambassade de France en Géorgie

Centre Culturel Français Alexandre Dumas

## პროცედურა

დოსიე სახელწოდებით, "არქიტექტურის უმაღლეს ეროვნულ სკოლაში წინასწარი ჩაწერის მოთხოვნა" დაიდება საიტზე და შესაძლებელი იქნება ჩამოტვირთვა 2010 წლის 1 დეკემბრიდან : http://www.archi.fr/ECOLES/index.html#formulaires

დოსიე უნდა ჩააბაროთ ალექსანდრე დიუმას ფრანგული კულტურის ცენტრში გუდიაშვილის ქ. 10, 0105 თბილისი, მას შემდეგ, რაც დანიშნავთ შეხვედრას წერილობით შემდეგ ელ.მისამართზე : universitaire@ccf-tbilisi.ge.

ჩაბარების ბოლო ვადაა 2010 წლის 31 იანვარი.

## ტესტირება ენაში

არქიტექტურის უმაღლეს ეროვნულ სკოლაში ჩაბარების კანდიდატები გაივლიან ფრანგული ენის ცოდნის დონის შემოწმების ტესტს. ლინგვისტური ტესტი, თჩ -ი ჩატარდება 2011 წლის 20 იანვარს.

## ყურადღება!

TCF-ზე ჩაწერა ხდება ცალკე და მას კავშირი არ აქვს წინასწარი ჩაწერის დოსიეს ჩაბარებასთან. TCF-ზე ჩაწერის ბოლო ვადაა 2010 წლის 24 დეკემბერი.

TCF-ისაგან თავისუფლდებიან სტუდენტები, რომლებსაც აქვთ DALF-ი (დონე C1 და C2) და DELF- ი (დონე B2).

**არანაირი ინფორმაცია არ გაიცემა ტელეფონით არც საელჩოს მხრიდან არც ფრანგული კულტურის ცენტრის მხრიდან. მხოლოდ ელექტრონული ფოსტით მიღებულ წერილებს გაეცემათ პასუხი.**